გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №27

ქ. თბილისი

22/იანვარი/2018 წელი

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 2018 წლის **22 იანვარს** 2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის (სახსრების) შესაბამისად, მონეტარული ზღვრების დაცვით, დაფინანსების წყარო – საკუთარი შემოსავლები.

ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ შპს„რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/კ 236035517) – ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი - ნუგზარ ბოლქვაძე (პ/ნ 01008008307)(შემდგომში „შემსყიდველი“) მისამართი: თბილისი ჯავახიშვილის ქ. 51, და მეორე მხრივ, ი/მ გივი ჭიხორია (ს/კ 38001005079) (შემდგომში „მიმწოდებელი“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება,რომელიცხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულიაწინამდებარე ხელშეკრულება.
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის სახელმწიფო შესყიდვას.
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულებისფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CPV- 60181000 -**სატვირთო მანქანების დაქირავება მძღოლთან ერთად;** (შემდგომში „მომსახურება“) კერძოდ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“-ს ქალაქ ქუთაისის ბაზიდან (მის: ქ. ქუთაისი, ორახელაშვილის ქ. N14) 2000 ლიტრი დიზელის L-62 (არაუმეტეს 150 PPM) გადმოტვირთვა შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“-ს ბორითის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრში.
2.2 მომსახურება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მითითებულ დროს, ბენზინმზიდის მეშვეობით (სახელმწიფო ნომერი: SA-248-AS) მისამართზე: ხარაგულის რაიონი, სოფელი ბორითი, არაუგვიანეს მიმდინარე წლის 31 იანვრისა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 312.50 (სამას თორმეტი ლარი და 50 თეთრი);
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებითგათვალისწინებული შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მითითებული ღირებულების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, მომსახურების გაწევის შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე,მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.
4.2. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს, მხოლოდ მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. ხარისხი

5.1 მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. მიღება-ჩაბარების წესი

შემსყიდველი

ხელმოწერა_____

მიმწოდებელი

ხელმოწერა_____

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ გაფორმებულიშესაბამისი (მიღება–ჩაბარების აქტი)დოკუმენტაციის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესყიდული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში;
ბ) ოპტიმალური მარშრუტის გამოყენებით მიიღოს ყველანაირი ზომა დანიშნულების საბოლოო წერტილამდე საწვავის უსაფრთხო და დროულ მიწოდებასთან დაკავშირებით.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებასგანახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირი ან პირთაჯგუფი, კერძოდ: შ.პ.ს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“-ს ბორითის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის სამეურნეო და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი იოსებ სხილაძე, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას.
8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობებისშესაბამისად შესყიდვის ობიექტის რაოდენობის, მიწოდების ვადებისა, ხარისხის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობისკონტროლს.
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯებისანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდებახელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის,გარდა საქართველოს სამოქალაქოკოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობებისგადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელიამხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულებისდამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაცწინამდებარე ხელშეკრულებას.
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობებისშეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოსგადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარესარანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციისელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
9.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით,ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულიადაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში,მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ.წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრივალდებულებებისაგან.

შემსყიდველი

ხელმოწერა_____

მიმწოდებელი

ხელმოწერა_____

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალისმოქმედების დასრულებისთანავე.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეებიხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულმოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება პირგასამტეხლოს სახით, კერძოდ: შეუსრულებელი ვალდებულების 0,01%–ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრებაურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავისგადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2018 წლის 30 მარტის** ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3(სამი) ეგზემპლარად (ორიშემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/კ 236035517)	ი/მ გივი ჭიხორია (ს/კ 38001005079)
ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი– დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე (პ/ნ 01008008307)	
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE86LB0113112241617000	საბანკო რეკვიზიტები: სს თი ბი სი ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE22TB7493845063600028

შემსყიდველი

ხელმოწერა_____

მიმწოდებელი

ხელმოწერა_____